**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის**

**საბჭოს სხდომის**

**ოქმი N3**

**30.03.2017**

**ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:**

დღის წესრიგში წარმოდგენილია **9** ძირითადი საკითხი:

1. სამაგისტრო პროგრამებისთვის - "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა", "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია" - ინგლისური ენის სამაგისტრო გამოცდის დამატების შესახებ;
2. "შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამაზე უცხო ენის გამოცდის ნაცვლად ინგლისურ ენაში გამოცდის განსაზღვრა;
3. განათლების ბაკალავრისა და განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების წარდგინება;
4. სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის და შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების წარდგინება;
5. საბაკალავრო პროგრამის „მულტილინგვური განათლება" (დაწყებითი განათლების საფეხური) დამტკიცება;
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი" ცვლილების შეტანა;
7. 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების სავარაუდო სათაურების დამტკიცება;
8. საგამოცდო ნაშრომთა შედეგების სააპელაციო კომისიის შექმნა;
9. საგამოცდო პერიოდში სტუდენტის ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებული პროექტი;
10. სხვა ...

**სხდომას ესწრებოდნენ:**

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

**ფაკულტეტის საბჭოს წევრები:**

*ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*

**პროფესორები:**

ლალი სურმანიძე, მზია წერეთელი.

**ასოცირებული პროფესორები :**

მანანა მელიქიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, მაია მესტვირიშვილი, ლუიზა არუთინოვი, ირინე ჟვანია, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, ვახტანგ ნადარეიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, მედეა დესპოტაშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი.
**ასისტენტ პროფესორი:** ლია ჩხიკვიშვილი.

*განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*

**პროფესორი**: ქეთევან ჭკუასელი;
**ასოცირებული პროფესორები:** იზაბელა პეტრიაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი.

*სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:*
*ფსიქოლოგიის მიმართულება :*
ანა გელაშვილი
ნათია კაპანაძე
პაატა ჯოლბორდი
ნინი გაბელაია
ქეთევან ტუხაშვილი

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 23 წევრი.

**განიხილეს:**

**1. სამაგისტრო პროგრამებისთვის "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა", "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია" - ინგლისური ენის სამაგისტრო გამოცდის დამატების შესახებ;**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს სთხოვა, პროგრამის ხელმძღვანელების მომართვის საფუძველზე მხარი დაუჭირონ სამაგისტრო პროგრამებისთვის "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა" და" გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია" ინგლისური ენის სამაგისტრო გამოცდის დამატებას.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :
**მომხრე: 23**
**წინააღმდეგი: 0**
**თავი შეიკავა: 0**
*დაადგინეს:*
**დაემატოს სამაგისტრო პროგრამებს "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა" და" გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია" ინგლისური ენის სამაგისტრო გამოცდა**

**2. „შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამაზე უცხო ენის გამოცდის ნაცვლად ინგლისურ ენაში გამოცდის განსაზღვრა;**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს მიმართა წინადადებით, მხარი დაუჭირონ "შრომისა და

ორგანიზაციული ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამაზე უცხო ენის გამოცდის ნაცვლად ინგლისურ ენაში გამოცდის განსაზღვრას.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

**მომხრე: 23**
**წინააღმდეგი: 0**
**თავი შეიკავა: 0**

*დაადგინეს:*
**უცხო ენის გამოცდის ნაცვლად "შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამაზე განისაზღვროს გამოცდა ინგლისურ ენაში;**

**3. განათლების ბაკალავრისა და განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების წარდგინება;**
ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფ. ზ. ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო დეპარტამენტის მიერ წარდგენილია 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების სია, რომლებსაც უნდა მიენიჭოთ განათლების ბაკალავრისა და განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ასოც. პროფ. ზ. ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა კურსდამთავრებულთა სია მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისად:

ა) მიენიჭოთ **განათლების ბაკალავრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:
**სწავლების ძირითადი დარგი: დაწყებითი განათლება**
**დიპლომი ჩვეულებრივი:**
1. ალხანაშვილი ანა
2. ქაამე თამარ

ბ) მიენიჭოთ ***განათლების მეცნიერებების მაგისტრის*** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

**სწავლების ძირითადი დარგი - განათლების მეცნიერებები**

**დიპლომი ჩვეულებრივი**

1. მუშკუდიანი მარიამ
2. ნებუნიშვილი მერი

საბჭოს მდივანმა მიმართა დამსწრე კოლეგებს, დასამტკიცებლად კენჭი უყარონ მოცემულ წარდგინებას.
საბჭომ კენჭი უყარა წარდგინების შემოთავაზებულ ფორმას და დაამტკიცა ერთხმად :

**მომხრე: 23**

**წინააღმდეგი: 0**

**თავი შეიკავა: 0**

*დაადგინეს*:

მიენიჭოს **განათლების ბაკალავრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი:

**სწავლების ძირითადი დარგი: დაწყებითი განათლება**

**დიპლომი ჩვეულებრივი:**

1. ალხანაშვილი ანა
2. ქაამე თამარ

მიენიჭოს ***განათლების მეცნიერებების მაგისტრის*** აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

**სწავლების ძირითადი დარგი - განათლების მეცნიერებები**

**დიპლომი ჩვეულებრივი**

1. მუშკუდიანი მარიამ
2. ნებუნიშვილი მერი

**4. სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის და შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების წარდგინება.**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფ. ზ. ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო დეპარტამენტის მიერ წარდგენილია 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების სია, რომლებსაც უნდა მიენიჭოთ სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის და შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ასოც. პროფ. ზ. ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა კურსდამთავრებულთა სია მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისად:

ა) სწავლების ძირითადი დარგი: **ფსიქოლოგია**

**დიპლომი წარჩინებით:**

1. მახარაშვილი სოფიო
2. ნარჩემაშვილი თამარ

**დიპლომი ჩვეულებრივი:**

ბასილაძე სოფიო

ბერიკიშვილი ხატია

| | |
|---|---|
| გაგუა | ანა |
| გავაშელი | მეგი |
| გაზდელიანი | მარიამ |
| გელაშვილი | ხატია |
| გოგშელიძე | მარიამ |
| დევდარიანი | მარიამ |
| დიაკონიძე | რუსუდანი |
| . დოლიძე | ლელა |
| . კალანდაძე | მაია |
| . კაციტაძე | ნუცა |
| . კერესელიძე | სალომე |
| . კოხრეიძე | ნინო |
| . მაკარაძე | ნათია |
| . მარტოლეკი | გიორგი |
| . მარხვაიძე | სოფიკო |
| . მაცაბერიძე | ქეთი |
| . მდინარაძე | სალომე |
| . მესტუმრიშვილი | მაკა |
| . ნიკოლაშვილი | ქრისტინა |
| . სამნიაშვილი | ნატო |
| . სირაძე | გიორგი |
| . ყატაშვილი | ანა |
| . ჩადუნელი | მარიამ |
| . ჩიტაშვილი | ანა |
| . ცერცვაძე | ნანა |
| . ძაგანია | ელენე |
| . ძებნიაური | გურანდა |
| . წიკლაური | თამთა |
| . ხაჩიძე | რუსუდან |

ზ) მიენიჭოს **შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს:

**სამაგისტრო პროგრამა:** „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“

**დიპლომი ჩვეულებრივი**

1. ბუაძე თეონა

საბჭოს მდივანმა დამსწრე კოლეგებს მიმართა წინადადებით, დასამტკიცებლად კენჭი უყარონ არსებულ წარდგინებას. საბჭომ კენჭი უყარა წარდგინების შემოთავაზებულ ფორმას და დაამტკიცა ერთხმად:

**მომხრე: 23**
**წინააღმდეგი: 0**
**თავი შეიკავა: 0**

**5. საბაკალავრო პროგრამის - „მულტილინგვური განათლება“ (დაწყებითი განათლების საფეხური) დამტკიცება;**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ პროგრამაში შეტანილი ცვლილებების გამო საჭიროა წარმოდგენილი „მულტილინგვური განათლების“ საბაკალავრო პროგრამის ხელახალი დამტკიცება ფაკულტეტის საბჭოზე.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროგრამას და დაამტკიცა ერთხმად :

**მომხრე: 23**

**წინააღმდეგი: 0**

**თავი შეიკავა: 0**

*დაადგინეს:*

**დამტკიცდეს საბაკალავრო პროგრამა „მულტილინგვური განათლება" (დაწყებითი განათლების საფეხური) წარმოდგენილი სახით.**

**6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი" ცვლილების შეტანა**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე მოქმედ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი" შევიდა ცვლილება, კერძოდ, დაემატა ჩანაწერი - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის" - რომლის თანახმად, ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/ წინაპირობების დაძლევის გარეშე. ასეთ პირს კრედიტები ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - დადგენილი წესის (მე-11 პუნქტი) შესაბამისად.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებას:

**მომხრე: 22**

**წინააღმდეგი: 0**

**თავი შეიკავა: 1**

*დაადგინეს:*

**დამტკიცდეს მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი" წარმოდგენილი ცვლილება - დაემატოს ჩანაწერი - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის";**

**7. 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების სავარაუდო სათაურების დამტკიცება;**

სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელმა, ასოც. პროფ. ლ. არუთინოვამ საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად გამოაქვს 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების სავარაუდო სათაურები, რომლებიც, წესისამებრ, უკვე განხილული და დამტკიცებულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე. საბჭოს მდივანმა მოახსენა კოლეგებს, რომ დადგენილი წესის თანახმად, საბჭო უფლებამოსილია თითოეულ წარმოდგენილ საკითხს ცალკე უყაროს კენჭი.

1. **სადოქტორო პროგრამა - „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“.**

**ნინო ქიტოშვილი**- სამეცნიერო ხელმღვანელი ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა. ნაშრომის პირობითი სათაური - „დავით განქორწინების გავლენა შვილების ანტისოციალურ მიდრეკილებებზე.“

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად:
**მომხრე: 23**
**წინააღმდეგი: 0**
**თავი შეიკავა: 0**

2. **სადოქტორო პროგრამა - „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“.**

**თამარი ლიპარტელიანი**-სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ია კუტალაძე. სადოქტორო თემის სახელწოდება – „მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სტრესი: წინაპირობები და შედეგები.”

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :
**მომხრე: 23**
**წინააღმდეგი: 0**
**თავი შეიკავა: 0**

3. **სადოქტორო პროგრამა - „განათლების ფსიქოლოგია“**

1. **თამარ ჯაყელი** - სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი მზია წერეთელი, სადოქტორო თემის სახელწოდება – „მეტაკოგნიტური პროცესების ორგანიზება და მართვა“.
საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :
**მომხრე: 23**
**წინააღმდეგი: 0**
**თავი შეიკავა: 0**

3. **თამარ სომხიშვილი** - სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი მზია წერეთელი, სადოქტორო თემის სახელწოდება – „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ადრეული განათლების პრობლემატიკა“.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :
**მომხრე: 23**
**წინააღმდეგი: 0**
**თავი შეიკავა: 0**

3.**თეონა დავითაშვილი** - სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი მზია წერეთელი. სადოქტორო თემის სახელწოდება – „Z თაობის სოციალური ღირებულებები და სწავლის მოტივაცია“.
საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად :
**მომხრე: 23**
**წინააღმდეგი: 0**
**თავი შეიკავა: 0**

**8. საგამოცდო ნაშრომთა შედეგების სააპელაციო კომისიის შექმნა**
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ის პრორექტორის ინიციატივითა და ცენტრალური ხარისხის სამსახურის დავალებით, საჭიროა ყოველ ფაკულტეტზე უზრუნველყოფილი იქნას საგამოცდო ნაწერების შედეგების გაპროტესტების შემდეგ შეფასების 2 და მეტი ქულით შეცვლილი ნაწერის გადასინჯვა, რამდენადაც პრაქტიკამ აჩვენა, რომ სტუდენტების მხრიდან ხშირად გარკვეული არამართლზომიერი ქმედებების შედეგად, ხდება საგამოცდო ნამუშევრების შეფასებების რადიკალური, 2 და მეტქულიანი ცვლილებები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის სამსახური ერთპიროვნულად ვერ გადაწყვეტს ამ ტიპის ნაშრომების გადასინჯვის საკითხს, ამიტომ, შესაბამისად, სთავაზობს საბჭოს, ზემოხსენებული ხასიათის საგამოცდო ნაშრომების რევიზიისათვის სპეციალური სააპელაციო კომისიის შექმნას, რომლის შემადგენლობაში, თანაბარი პროპორციის პრინციპით, შევლენ პროფესორები ფაკულტეტზე მოქმედი ინსტიტუტებიდან. დასახელდა 7 კანდიდატურა :

ქეთევან ჭკუასელი, ხათუნა მარწყვიშვილი, მანანა მელიქიშვილი, ეკა ფირცხალავა, ნინო ლაბარტყავა, ლადო გამსახურდია, მაია რობაქიძე.

**აზრი გამოთქვეს:**
პროფესორი ლალი სურმანიძე - ვფიქრობ, პირველ რიგში, გასარკვევია ამ კომისიის მოქმედების სამართლებრივი ჩარჩო, აგრეთვე, პროცედურები, რომლითაც ის იმოქმედებს. ამის გაწერა უმთავრესია.
ასოც. პროფესორი მანანა მელიქიშვილი - ამ ეტაპზე არ არის გაწერილი ზუსტი ინსტრუქცია, დღეისათვის პირველი რიგის საკითხი ამ კომისიის შექმნაა.
პროფესორი თამარ გაგოშიძე - რა თქმა უნდა, პროცედურის გარეშე კომისიის მუშაობა აზრს კარგავს, ვფიქრობ, ამ ეტაპზე შევქმნათ კომისია და შეიძლება მათვე დავავალოთ წარმოგვიდგინონ სამუშაო ინსტრუქცია. ამ პროცესში, შეიძლება, ცენტრალურმა ხარისხმაც მოგვცეს კონკრეტული მითითებები.
ასოც. პროფესორი მანანა მელიქიშვილი - კომისიაში იქნება წარმომადგენელი თითოეული ინსტიტუტიდან, ამიტომ განსახილველად წარმოდგენილ ნაშრომს შესაბამისი ინსტიტუტის პერსონალი შეაფასებს, ოღონდ მის შეფასებას ხელმოწერით დაადასტურებს კომისიის სხვა წევრებიც.
ასოც. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი - ვფიქრობ, ამ საკითხთან მიმართებით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი საგნის ფარგლებში მინიმუმ უნდა დავაახლოვოთ

შეფასების პრინციპები და კრიტერიუმები, რათა თავიდან ავიცილოთ, ზოგადად, ამ ტიპის პრობლემები.
პროფესორი ლალი სურმანიძე - გეთანხმებით, თუმცა აქ პრობლემა სხვაა, იმ შეთანხმებული კომპონენტების შინაარსი რამდენად არის იგივეობრივი სხვადასხვა სპეციალისტისათვის.
პროფესორი თამარ გაგოშიძე - ამ მიმართებით ცალსახად უნდა დაისვას საკითხი, რომ როგორც მინიმუმ, სემინარის ლექტორებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ერთგვაროვანი შეფასების პროცედურა და კომპონენტები.
ასოც. პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი - დავუბრუნდეთ კომისიის თემას, თუ ვნახავთ, რომ შეფასება არასწორია, ლმობიერი ან, პირიქით, ზედმეტად მკაცრი, ასეთ შემთხვევაში ვსჯით იმ ლექტორს თუ რა შედეგი მოჰყვება კომისიის მუშაობას ?
პროფესორი თამარ გაგოშიძე - ალბათ, თუკი ამა თუ იმ აკადემიური პერსონალის მხრიდან ასეთი გადაცდომა ხშირი იქნება, გამოეცხადება საყვედური, თუმცა ეს ჩემი აზრია და სამართლებრივად კიდევ დასადგენია.
ასოც. პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი - ასეთ შემთხვევაში ხომ არ აჯობებს, ამ ეტაპზე კენჭი ვუყაროთ კომისიის შექმნას და შემდეგი სხდომისთვის გადავდოთ აღნიშნული სააპელაციო კომისიის მუშაობის ინსტრუქციისა და პროცედურის განხილვა?

საბჭოს თავჯდომარემ მიიღო აღნიშნული წინადადება და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: შეიქმნას საგამოცდო ნაშრომთა შედეგების სააპელაციო კომისია და დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან ჭკუასელი, ხათუნა მარწყვიშვილი, მანანა მელიქიშვილი, ეკა ფირცხალავა, ნინო ლაბარტყავა, ლადო გამსახურდია, მაია რობაქიძე.

**მომხრე: 23**
**წინააღმდეგი: 0**
**თავი შეიკავა: 0**
***დაადგინეს:***

**შეიქმნას საგამოცდო ნაშრომთა შედეგების სააპელაციო კომისია და დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან ჭკუასელი, ხათუნა მარწყვიშვილი, მანანა მელიქიშვილი, ეკა ფირცხალავა, ნინო ლაბარტყავა, ლადო გამსახურდია, მაია რობაქიძე;**

**9. სტუდენტის საგამოცდო პერიოდში ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებული პროექტი**
ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ საგამოცდო პერიოდში სტუდენტები ხშირად აწუხებენ ლექტორებს ქულების მომატებასთან დაკავშირებით, რაც ქმნის ხოლმე უხერხულ და დაძაბულ სიტუაციებს. ამიტომ კარგი იქნება ფაკულტეტის საბჭომ მოამზადოს განცხადება, რომლითაც საკუთარ პოზიციას გამოხატავს ქცევის წესებთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:**
ასოც. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი - ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა, თითქმის ყველა ჩემი კოლეგა და თავად მეც შეწუხებული ვართ საჯარო

თუ კერძო სივრცეში სტუდენტების მხრიდან ფაქტობრივი იძულებით, დავუწეროთ ნიშანი.

პროფესორი თამარ გაგოშიძე - სწორედ ეს გახდა მიზეზი ამ პროექტის მომზადებისა, რიგ შემთხვევებში სტუდენტები გადადიან ყოველგვარ საზღვარს და ნიშნის მომატებისათვის საკმაოდ არაეთიკურ გზებს მიმართავენ. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი ინიციატივით, აუცილებელია განისაზღვროს სტუდენტის ქცევის წესი უნივერსიტეტის წესდებისა და ეთიკური კოდექსის შესაბამისად.

პროფესორი ლალი სურმანიძე - რა თქმა უნდა, მეც მქონია მსგავსი შემთხვევა, მაგრამ ნიშნის მომატების მიზნით დაფიქსირებული საჩივრის შემთხვევაში, როგორც წესი, ვპასუხობ, რომ თუ მიაჩნია, რომ არაობიექტურად შევაფასე, აღნიშნული საგანი უნდა ჩააბაროს კომისიის წინაშე - რასაც მიიღებდა, ის შეფასება ექნებოდა საგამოცდო ნაწილში.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს.

**მომხრე: 23**
**წინააღმდეგი: 0**
**თავი შეიკავა: 0**

*დაადგინეს:*

**მოწონებულ იქნეს სტუდენტის საგამოცდო პერიოდში ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებული პროექტი და დაევალოს ადმინისტრაციას დახვეწა და საბჭოს მორიგ სხდომაზე სრულყოფილი სახით წარმოდგენა.**

10. საგამოცდო ნაწერების გასწორების პროცედურასთან დაკავშირებული საკითხი

ასოც. პროფესორმა ხათუნა მარწყვიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ სასწავლო დეპარტამენტთან გავლილი კონსულტაციის შემდეგ სვამს რამდენიმე საკითხს, რომელთა მოგვარება მეტ-ნაკლებად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ეფექტურობას. კერძოდ, სასურველია მკაცრად განისაზღვროს (იგულისხმება ვადების შეზღუდვის კონტექსტი) საგამოცდო ნაშრომების სააპელაციო ვადები და, ასევე, მნიშვნელოვანია, აპელაცია იყოს ანონიმური - სტუდენტმა არ იცოდეს, ვინ ასწორებს მის გაპროტესტებულ ნაწერს, რათა არ იყოს ლექტორზე ზეწოლა, რისი მაგალითებიც, სამწუხაროდ, ბევრია. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ხშირად პროფესორ-მასწავლებლებს ყოველდღე, თითო გაპროტესტებული ნაწერის გასასწორებლად უწევთ მოსვლა, რაც არაადეკვატურია, ასე უაზროდ არ უნდა ვხარჯავდეთ სხვის დროით რესურსს. შესაბამისად, უკეთესი იქნება, ადმინისტრაციამ დააგროვოს სააპელაციო საგამოცდო ნაშრომები და ერთიანად მიაწოდოს ლექტორს.

აზრი გამოთქვეს:

სტუდენტი ნათია კაპანაძე - დაგროვება როგორ მოხერხდება, როდესაც, წესით, 3 დღეში უნდა ეცნობოს სტუდენტს აპელაციის შედეგი, ამას ემატება ისიც, რომ ხშირად განმეორებითი გამოცდა დროის მოკლე მონაკვეთშია და შეფასება თუ არ გვეცოდინება, როგორ გავალთ განმეორებით გამოცდაზე.

ასოც. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი - ხშირად ნაწერები ჩვენამდე არ მოდის იმავე დღეს, შესაბამისად, 150-200 ნაწერის გასწორება გვიწევს მერე დაჩქარებით 4-5 დღეში. ვფიქრობ, ნაშრომების გასასწორებლად მინიმუმ 7 სამუშაო დღე მაინც უნდა იყოს გამოყოფილი. ყოველ შემთხვევაში, გასწორების ვადები გასასწორებელი ნაშრომების რაოდენობით მაინც განისაზღვროს.

ასოც. პროფესორი მედეა დესპოტაშვილი - იქნებ მოხერხდეს, რომ თითოეული ფაკულტეტისათვის განისაზღვროს კონკრეტული ვადები;

პროფესორი ლალი სურმანიძე - გაცილებით მომგებიანი იქნება, თუკი საპროტესტო ვადები შემჭიდროვდება, მკაფიოდ გაიწერება, პირობითად მხოლოდ 3 დღე.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და კენჭი უყარეს წინადადებას, დაევალოს დეკანს, პროფესორ თამარ გაგოშიძეს მიიღოს შესაბამისი ზომები სასწავლო პროცესის რეალიზებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გადაჭრისათვის.

**მომხრე: 23**
**წინააღმდეგი: 0**
**თავი შეიკავა: 0**

*დაადგინეს:*

დაევალოს დეკანს, პროფესორ თამარ გაგოშიძეს მიიღოს შესაბამისი ზომები სასწავლო პროცესის რეალიზებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გადაჭრისათვის

**11. გიორგი გოროშიძის მიმართვა ფაკულტეტის საბჭოს წევრებისადმი სადოქტორო ხელმძღვანელის დამტკიცებული სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით.**

ასოც, პროფესორმა გიორგი გოროშიძემ მოახსენა საბჭოს, რომ იგი არის დოქტორანტ ნინო გრებენჩუკის სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული ოფიციალური ხელმძღვანელი. აღნიშნული სტუდენტი მიუხედავად არაერთი წერილისა და მიმართვისა, არ გამოცხადებულა თემის ხელმძღვანელთან, არ გაუვლია არანაირი კონსულტაცია და არ მიუღია მონაწილეობა არც ერთ სემინარსა თუ კოლოკვიუმში. შესაბამისად, ასოც. პროფესორმა გიორგი გოროშიძემ მიმართა საბჭოს თხოვნით ინფორმაციად მიიღონ აღნიშნული ფაქტი და სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული წესით გაათავისუფლონ თემის ხელმძღვანელის დაკისრებული პასუხისმგებლობისგან.

საბჭომ მოისმინა გიორგი გოროშიძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მიიღო ცნობად და მისცა რეკომენდაცია მომხსენებელს, შევიდეს სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარის წინაშე განცხადებით, გათავისუფლდეს სტუდენტ ნინო გრებენჩუკის სამეცნიერო ხელმძღვანელის პასუხისმგებლობისაგან.

12. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამუშაო ოთახის საკითხი

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ მას მოწერა წერილი შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, ასოც. პროფესორმა მაია რობაქიძემ, რომელშიც იგი ითხოვს დახმარებას. ასოც. პროფესორმა გიორგი გოროშიძემ დაცვის სამსახურს გადასცა ინსტიტუტის 5 თანამშრომლის სია, რომელთაც, ბ-ნი გიორგი აზრით, შეუძლიათ ისარგებლონ ინსტიტუტის სამუშაო ოთახით. ამ ფაქტმა დაგვაყენა შემდეგი რეალობის წინაშე - ინსტიტუტის მოწვეული პედაგოგები და დოქტორანტები, ფაქტობრივად, ვერ სარგებლობენ ოთახით. მიუხედავად პროფესორ გოროშიძესთან საუბრისა და თხოვნისა, აღნიშნული პრობლემა ვერ მოგვარდა და, შესაბამისად, ასოც. პროფესორი მაია რობაქიძე დეკანს სთხოვს კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს ამ პრობლემის მოგვარება.

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ სთხოვა ასოც. პროფესორ გიორგი გოროშიძეს სასწრაფო წესით გამოითხოვოს უკან დაცვის თანამშრომლებისათვის მიცემული ინსტიტუტის თანამშრომელთა სია, წინააღმდეგ შემთხვევაში, რადგანაც ასეთ ფაქტს მრავალჯერადი ხასიათი ჰქონდა, იძულებული გახდება გადასცეს ეს საქმე დისციპლინურ კომისიას.

## დაადგინეს:

1. დაემატოს სამაგისტრო პროგრამებს "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა" და" გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია" ინგლისური ენის სამაგისტრო გამოცდა

2. უცხო ენის გამოცდის ნაცვლად "შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამაზე განისაზღვროს გამოცდა ინგლისურ ენაში;

3. დამტკიცდეს განათლების ბაკალავრისა და განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების წარდგინება წარმოდგენილი სახით;

4. დამტკიცდეს სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის და შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად 2016/2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების წარდგინება წარმოდგენილი სახით;

5. დამტკიცდეს საბაკალავრო პროგრამა „მულტილინგვური განათლება“ (დაწყებითი განათლების საფეხური) წარმოდგენილი სახით

6. დამტკიცდეს მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი“ წარმოდგენილი ცვლილება - დაემატოს ჩანაწერი - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის“;

7. დამტკიცდეს 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების სავარაუდო სათაურები შემოთავაზებული წარდგინების სახით;

8. შეიქმნას საგამოცდო ნაშრომთა შედეგების სააპელაციო კომისია და დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან ჭკუასელი, ხათუნა მარწყვიშვილი, მანანა მელიქიშვილი, ეკა ფირცხალავა, ნინო ლაზარტყავა, ლადო გამსახურდია, მაია როზაქიძე;

9. მოწონებულ იქნეს სტუდენტის საგამოცდო პერიოდში ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებული პროექტი და დაევალოს ადმინისტრაციას დახვეწა და საბჭოს მორიგ სხდომაზე სრულყოფილი სახით წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე